ა(ა)იპ დემოკრატიის ინდექსი – საქართველო
ს/კ – 405337764
მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N2, 0160

+995 577 07 05 77
democracyindexgeorgia@gmail.com
@DemocracyIndex

N 03-384-2022 05 მაისი 2022 წელი

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა

კომიტეტის თავმჯდომარეს, ბატონ ანრი ოხანაშვილს

კომიტეტის წევრებს

ბატონო ანრი,

პატივცემულო კომიტეტის წევრებო,

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის 2 მაისის სხდომაზე გამართული განხილვისას მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, 2022 წლის 27 აპრილის N03-358-2022 წერილით გამოთქმულ მოსაზრებებთან დამატებით, წარმოგიდგენთ მოსაზრებას საქართველოს კანონის პროექტებზე, რომლებითაც ცვლილება შედის „პოლიციის შესახებ“, „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო მოსამსახურეთა სტატუსის შესახებ“ კანონებში (07-3/189/10).

ცვლილებების არსი მდგომარეობს შემდეგში: საკანონმდებლო ინიციატივის მხარდაჭერის შემთხვევაში, შინაგან საქმეთა მინისტრს და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს მიეცემათ დისკრეცია უწყებაში სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე დასაქმებული პირი გადაიყვანონ ტოლფას თანამდებობაზე, 1 წლამდე ვადით, მისი თანხმობის გარეშე, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს კიდევ 1 წლით. აღნიშნული გადაადგილება შესაძლოა განხორციელდეს, მათ შორის, სხვა ტერიტორიულ ერთეულში;[1] ხოლო, სამხედრო მოსამსახურეებთან მიმართებით თავდაცვის მინისტრს ანალოგიური უფლებამოსილება ენიჭება კონკრეტული ვადით შემოფარგვლის გარეშე.[2]

რამდენიმე ქვეყნის კანონმდებლობის შესწავლით გამოიკვეთა, რომ სამართალდამცავი სისტემის თანამშრომელთა სამუშაოდ სხვა ადგილზე გადაყვანის შემთხვევაში, ქვეყნების კანონმდებლები კანონით ადგენენ გადაყვანის უფლებამოსილების ბოროტად

[1] იხ. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის პირველი მუხლის მეხუთე პუნქტი,https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/297943?. „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის პირველი მუხლი, https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/297949? [19.04.2022]

[2] „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის პირველი მუხლი, https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/297952? [19.04.2022]

გამოყენებისაგან დაცვის მექანიზმებს, ასევე, სოციალურ გარანტიებს თანამშრომელთა უფლებების შეზღუდვის საკომპენსაციოდ.

მაგალითად, სლოვენიის კანონმდებლობის მიხედვით, მხოლოდ პოლიციელის თანხმობით არის ნებადართული გადაყვანილი პოლიციელის დაბრუნების შემდგომ, განმეორებით, მისი სხვა პოზიციაზე გადაყვანა.[3] ესტონეთის კანონმდებლობით, პოლიციელს ტოლფას თანამდებობაზე მისი თანხმობის გარეშე გადაყვანის შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს არა ნაკლებ ერთი თვით ადრე; აგრეთვე, დაუშვებელია ამან გამოიწვიოს მისთვის საცხოვრებელი ადგილის შეცვლა.[4]

უფლების შეზღუდვის საკომპენსაციოდ, მაგალითად, ხორვატიის კანონმდებლობით, პოლიციელს, რომელიც თანხმობის გარეშე, სხვა ტერიტორიულ ერთეულში დროებით არის გადაყვანილი, სახელმწიფო აძლევს ერთჯერად ფინანსურ დახმარებას მისი ხელფასის ოდენობით; აგრეთვე, ყოველ სამ თვეში ერთხელ ეკუთვნის ერთ კვირიანი ანაზღაურებადი შვებულება ოჯახის მოსანახულებლად. პარალელურად, თანამშრომელს ოჯახის მოსანახულებლად გაწეული სამგზავრო ხარჯებიც უნაზღაურდება. ხოლო, უვადოდ გადაყვანის შემთხვევაში უზრუნველყოფილია მისი ოჯახის საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან დაკავშირებული ხარჯები, დამატებით, ის და მისი ოჯახი საცხოვრებლით უზრუნველყოფილია 3 წლის განმავლობაში.[5] სათანადო საცხოვრისის გარანტიებს და გადაადგილების ხარჯების ანაზღაურებას ითვალისწინებს სლოვენიის[6] და ლატვიის[7] შესაბამისი საკანონმდებლო აქტები.

რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლობას, განსახილველი კანონების მოქმედი რედაქცია მხოლოდ ზოგად სოციალურ გარანტიებს ითვალისწინებს, რომელიც ყველა ჩამოთვლილი უწყების თანამშრომლისთვის მოქმედებს იმ მომენტიდან, როცა ისინი დასაქმდებიან შესაბამის სამართალდამცავ უწყებაში. გადაყვანილი პირებისთვის სპეციალურ გარანტიებს არც უწყებათა ხელმძღვანელების მიერ მიღებული კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტები ითვალისწინებს; ამ უკანასკნელით მხოლოდ სამივლინებო ხარჯების ანაზღაურებაა გათვალისწინებული.[8] ინიცირებული ცვლილებები, სამართალდამცავი უწყებების თანამშრომელთა უფლებების დამატებითი შეზღუდვის ფონზე, არ გვთავაზობს შესაბამისი სოციალური გარანტიების თუ კომპენსაციების დაწესების სისტემას.

რეკომენდაცია:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საკანონმდებლო გარანტიების შემოღება თანამშრომელთა გადაყვანის უფლებამოსილების

---

[3] Article 67(8), Law on Organization and Work in the Police of Slovenia, www.pisrs.si/Pis.web/pregledPredpisa?id=ZAKO6315# [05.05.2022]

[4] Article 57(1), 57(5), Police and Border Guard Act of Estonia, https://www.riigiteataja.ee/en/eli/511112019003/consolide [06.05.2022]

[5] Article 102-104, LAW ON POLICE of Croatia https://www.legislationline.org/documents/action/popup/id/5885 [05.05.2022]

[6] Article 67 (5), Law on Organization and Work in the Police of Slovenia, www.pisrs.si/Pis.web/pregledPredpisa?id=ZAKO6315# [05.05.2022]

[7] Section 24, LAW OF THE REPUBLIC OF LATVIA On Police, https://likumi.lv/ta/en/en/id/67957-on-police [06.05.2022]

[8] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანების 29-ე მუხლის მესამე პუნქტი. აგრეთვე, „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2015 წლის 1 აგვისტო №1 ბრძანების 22-ე მუხლის მესამე პუნქტი.

არასათანადოდ გამოყენების თავიდან ასაცილებლად. კერძოდ, საკომიტეტო განხილვების შედეგად, გადაყვანის ვადების დაზუსტების მხედველობაში მიღებით:

- პოლიციელთა, სსუს-ის თანამშრომელთა და სამხედრო მოსამსახურეთა განმეორებითი გადაყვანა შესაძლებელი იყოს მხოლოდ მას შემდგომ, როდესაც ტოლფას თანამდებობაზე პირის დაბრუნებიდან მისი გადაყვანის პერიოდის არანაკლებ სამმაგი ოდენობის დრო იქნება გასული.

ან,

- ერთი და იგივე პირის გადაყვანა შესაძლებელი იყოს 5 წლის განმავლობაში საერთო ჯამში არა უმეტეს 2 წლის ვადით, რაც გადაყვანის მექანიზმის მეტ მოქნილობას უზრუნველყოფს.

დამატებით, მნიშვნელოვანია სხვა ტერიტორიულ ერთეულში გადაყვანის დროს გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი თანამდებობის პირი ვალდებული იყოს გაითვალისწინოს თანამშრომლის პირადი და ოჯახური მდგომარეობა. მაგალითად, სხვა ტერიტორიულ ერთეულში გადაყვანა არ გავრცელდეს ქალ პოლიციელზე, სსუს-ის თანამშრომელზე და სამხედრო პირზე, რომელიც არის ორსული, ახალნამშობიარები, ან მეძუძური ანდა, რომელსაც ჰყავს 3 წლამდე ბავშვი, აგრეთვე, იმ პირის მიმართ, რომელიც შშმ პირის კანონიერი წარმომადგენელი ან მხარდამჭერია.[9]

პატივისცემით,

ეკატერინე ციმაკურიძე
თავმჯდომარე

[9] ქალთა სპეციალურ საჭიროებებზე მორგებული კანონმდებლობის არსებობის მაღალ მნიშვნელობაზე აგრეთვე ხაზი გაუსვა ეუთო-ოდირმა უკრაინაში პოლიციის შესახებ კანონის პროექტზე დასკვნაში, OPINION ON THE DRAFT LAW OF UKRAINE ON POLICE AND POLICE ACTIVITIES, Opinion-Nr.: GEN-UKR/260/2014, OSCE-ODIHR, 2014, par. 27. https://www.osce.org/files/f/documents/0/1/130716.pdf [05.05.2022]